ახალი

განთიადი

„მედნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძგერს გული„

88-ე წელი ოქვენთან ერთად!

2019 წელი 30 მაისი № 5 № 8146

ელფოსტა
AxaliGantiadi@gmail.com

გილოცავთ !

ერთიანობა ცხემლის ღირ

ეროვნული სამოსის დღე საქართველოში პირველად 2016 წელს აღინიშნა და მთელ ქვეყანაში საზოგადოებრივი კამპანიის სახე მიიღო.

ეროვნული სამოსის დღე კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ერთაწმინდაში წელს მეოთხედ აღინიშნა.

ღონისძიების ფარგლებში მოეწყო სახალხო კოსტიუმირებული მსვლელობა. წმინდა ესტატეს სახელობის ტაძრის ეზოში გაიმართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ: ხალხურ საკრავთა ანსამბლი, სალოტბარო სკოლა, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის საეკლესიო სიმღერა-გალობის წრე, სამუსიკო სკოლის სიმღერის გუნდი, ფოლკლორული სიმღერის და ქორეოგრაფიული ანსამბლები.

მოეწყო ხელნაკეთი ნივთების, თექის და ნაქსოვ-ნაქარგი აქსესუარების გამოფენა-დათვალიერება.

კონცერტს უძღვებოდნენ კულტურის დაწესებულებების გაერთიანების სპეციალისტები: რუსუდან ბარნოვი და გიორგი მჭედლიშვილი.

ღონისძიება მოეწყო კასპის მუნიციპალიტეტის მერიის და კასპის მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურის ორგანიზებით.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

„ევროპის დღეები 2019„ გვ2.

ცენტრ „ექსპოჯორჯიაში" გვ2.

5 ოქროს და 9 ვერცხლის მედალი გვ2.

ფანტაზიისა და ფერთა ჰარმონია გვ8.

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე გვ4.

ვარცყოვოცხანი "დიდგორი" გვ5.

შიდა ქართლი ბათუმის XII საერთაშორისო ტურიზმისა და სასტუმრო აღჭურვილობის გამოფენაზე საუკეთესო სტენდის მქონე რეგიონი გახდა გვ2

ხშირად დასმული კითხვები და პასუხები მასწავლებლის სქემაში დაგეგმილ ცვლილებებზე გვ3.

მე და წიგნი გვ6.

კიდევ ერთი ვარსკვლავი ჩვენს ქალაქში გვ4.

„ევროპის დღეები 2019„

„ევროპის დღეები 2019"-ის დახურვის ღონისძიება „მე - ევროპელი" კასპის მუნიციპალიტეტში მდებარე არტ-ვილა გარიყულაში მოეწყო.

ღონისძიებას შიდა ქართლის ოთხივე მუნიციპალიტეტში მცხოვრები უფროსკლასელები და სტუდენტები ესწრებოდნენ.

შეხვედრა შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულმა გიორგი ხოჯევანიშვილმა გახსნა და ახალგაზრდებს ევროპა-საქართველოს პარტნიორობასა და განათლების მნიშვნელობაზე ესაუბრა. ხაზი გაუსვა განათლების სფეროში არსებულ შესაძლებლობებს და შეკრებილებს ამ მიმართულების კიდევ უფრო მეტი აქტიურობისკენ მოუწოდა.

ღონისძიების მონაწილე ახალგაზრდებს სიტყვით მიმართეს ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის დირექტორმა ნინო ბოლქვაძემ და კასპის მაჟორიტარმა დეპუტატმა, პარლამენტის წევრმა ირაკლი მეზურნიშვილმა.

ღონისძიების ფარგლებში, მწერალმა, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალურმა დირექტორმა გიორგი კეკელიძემ ლექცია წაიკითხა საქართველოს ევროპულ გზაზე, საქართველოსა და ევროპის ურთიერთკავშირზე, ევროპულ ღირებულებებზე, კულტურულ მრავალფეროვნებასა და განათლების მნიშვნელობაზე.

შეხვედრის ბოლოს ახალგაზრდებმა მათთვის საინტერესო შეკითხვები დასვეს, რაზეც ამომწურავი პასუხები მიიღეს. ღონისძიება პოსტერების კონკურსის "საქართველოს ევროპული გზა" გამარჯვებულის დაჯილდოებით დასრულდა.

5 ოქროს და 9 ვერცხლის მედალი

კასპის მუნიციპალიტეტის მერიაში 2017-2018 სასწავლო წლის წარჩინებულ კურსდამთავრებულებს ოქროსა და ვერცხლის მედლები გადაეცათ.

მედალი გადაეცა 14 კურსდამთავრებულს, რომელთაგანაც 5 ოქროსმედალოსანია 9 კი ვერცხლის.

კურსდამთავრებულებს მედლები გადასცეს და წარმატებები უსურვეს კასპის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ თამაზ ტატანაშვილმა და ქალაქ კასპის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა რუსუდან მიგრიაულმა.

კასპის მუნიციპალიტეტის მერიამ თითოეული მათგანი 1 000 ლარით დააჯილდოვა და მომავალში წარმატებები უსურვა.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

საგამოფენო ცენტრ „ექსპოჯორჯიაში"

ქალაქ თბილისში საგამოფენო ცენტრ „ექსპოჯორჯიაში" სამ დღეს გაიმართა ტურიზმის საერთაშორისო გამოფენა. გამოფენაში მონაწილეობდა შიდა ქართლის მხარე, რომელიც წარმოდგენილი იყო გორის, კასპის, ქარელის და ხაშურის მუნიციპალიტეტებით. დამთვალიერებელი გამოფენაზე შიდა ქართლის ტურისტულ პოტენციალს ფლაერების და ტრიპლეტეპის, ტურისტული ობიექტების ამსახველი გზამკვლევების, ფოტოებისა და სტენდების სახით ეცნობოდა. კასპის მუნიციპალიტეტმა წარმოადგინა სოციალურ საწარმო „წნულის" მიერ დამზადებული ავეჯი და საოჯახო ნივთები, ახალგაზრდა ფოტოხელოვან ლაშა ზუბიაშვილის ფოტოები, 23 წლის გიორგი ნიპარიშვილის მიერ დამზადებული თითქმის ყველა სახის ხალხური საკრავები, ირმა გოგობერიძის ტექნოლოგიით დამზადებული თხისა და საქონლის ყველის ასორტი, მერებაშვილების მარნის ღვინოები.

შიდა ქართლი ბათუმის XII საერთაშორისო ტურიზმისა და სასტუმრო აღჭურვილობის გამოფენაზე საუკეთესო სტენდის მქონე რეგიონი გახდა

ბათუმში გამართულ XII საერთაშორისო ტურიზმისა და სასტუმრო აღჭურვილობის გამოფენაში შიდა ქართლის რეგიონის ოთხივე მუნიციპალიტეტმა მიიღო მონაწილეობა. ღონისძიებას შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე ნუგზარ სამხარაძე ესწრებოდა.

გამოფენაში მონაწილეობა მიიღეს გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში მომუშავე საწარმოებმა, ღვინის მარნებმა, მეთუნეებმა, მხატვრებმა და სხვა ხელოვანებმა.

გარდა წარმოდგენილი ნიმუშებისა დამთვალიერებელს ადგილზე შეეძლო ენახა როგორც თიხის ძერწვის, ისე წნულის ნივთების დამზადებისა და სურამის ნაზუქის ცხობის მასტერკლასი. გამოფენის ძირითად მიზანს საქართველოს რეგიონებში ტურიზმის ხელშეწყობა და ტურისტული ადგილების ცნობადობის გაზრდა წარმოადგენდა. გამოფენის ორგანიზატორი საერთაშორისო საგამოფენო კომპანია იყო.

ხშირად დასმული კითხვები და პასუხები მასწავლებლის სქემაში დაგეგმილ ცვლილებებზე

საზოგადოებაში დიდი ინტერესი და უამრავი კითხვა გააჩინა განათლების რეფორმის ფარგლებში სამინისტროს მიერ დაანონსებულმა ცვლილებებმა.

მკითხველთა ინტერესის გათვალისწინებით გთავაზობთ ამონარიდს მასწავლებლის სახლის პასუხებიდან კითხვებზე, რომლებიც შეეხება საპენსიო ასაკის მასწავლებლებისთვის შეთავაზებულ ჯილდოს, მასწავლებელთა გამოცდებს და სქემაში დაგეგმილ ცვლილებებს.

პრაქტიკოსი საპენსიო ასაკის მასწავლებელი 2019 წლის განმავლობაში სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული ჯილდოს მიღების სურვილს რამდენიმე შემთხვევაში გამოხატავს:

თუ მასწავლებელს არ აქვს მინიმალური კომპეტენციის დადასტურების სურვილი, ამის შესახებ უნდა გვაცნობოს 2019 წლის მაისში;

თუ მასწავლებელი ვერ დააკმაყოფილებს მინიმალურ კომპეტენციას ჯილდოს მიღების სურვილის შესახებ უნდა გვაცნობოს 2019 წლის ბოლომდე;

თუ მასწავლებელს არ აქვს სურვილი ან ვერ დაადასტურებს მინიმალურ კომპეტენციას განმეორებითი მცდელობისას, ან თუ მასწავლებელს დადასტურებული აქვს მინიმალური კომპეტენცია, მაგრამ არ სურს, აიმაღლოს სტატუსი პრივილეგიით სარგებლობის შესახებ უნდა გვაცნობოს 2019 წლის ბოლომდე.

სახელმწიფო ჯილდოს გაცემა დაიწყება არაუგვიანეს 2019 წლის სექტემბრისა. აღნიშნულია მასწავლებლის სახლის ოფიციალურ გვერდზე.

პრაქტიკოსი მასწავლებლები მხოლოდ მინიმალური კომპეტენციის დადასტურებით აიმაღლებენ სტატუსს და მიიღებენ გაზრდილ ანაზღაურებას ახალი სასწავლო წლისათვის?

სტატუსის ამაღლებისა და შესაბამისად ხელფასის მომატებისთვის საჭიროა 19 კრედიტქულის დაგროვება, რომელიც მოიაზრებს, როგორც საგნობრივ და პროფესიული კომპეტენციის დადასტურებას, ასევე სქემით განსაზღვრული აქტივობების განხორციელებას.

თუ საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციის დადასტურებამდე მასწავლებელს დაგროვებული ექნება საკმარისი რაოდენობის კრედიტქულა, მაშინ ისინი შეძლებენ გამოცდის შედეგებით 19 კრედიტქულის შევსებას და სექტემბრისთვის სტატუსის ამაღლებას. შესაბამისად, მათ ხელფასის დანამატიც მიეცემათ 470 ლარის ოდენობით.

კვლავ სკოლის დირექტორის მიერ მასწავლებლის სტატუსის ცვლილების შესახებ წინადადების წარდგენის შემდეგ განხორციელდება მასწავლებლისთვის სტატუსის ცვლილება?

დიახ. სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი განიხილავს მასწავლებლების სტატუსის ცვლილების შესახებ სკოლის დირექტორის მიერ წარდგენილ წინადადებას და ბრძანებით მიანიჭებს მასწავლებელს უფროსი მასწავლებლის სტატუსს. ამის შემდეგ მასწავლებელი მიიღებს გაზრდილ ხელფასს.

შენარჩუნდება თუ არა საგნობრივ და პროფესიული უნარების გამოცდებზე ნაწილობრივი კრედიტქულების დაგროვების სისტემა (1,4,7 10 კრედიტქულა)?

დიახ.

შენარჩუნდება თუ არა შემოდგომაზე, განმეორებითი გამოცდის დროს, საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციების გამოცდებში ნაწილობრივი კრედიტქულების დაგროვების სისტემა (1,4,7, 10 კრედიტქულა)?

დიახ.

რა იგულისხმება განმეორებით სტატუსის ამაღლების შესაძლებლობაში?

მხოლოდ იმ მასწავლებელს ექნება განმეორებით გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობა, რომელიც 2019 წლის ზაფხულში დარეგისტრირდება საგნობრივ და პროფესიული უნარების გამოცდებზე და ვერ დაძლევს მინიმალურ საგნობრივ და პროფესიულ კომპეტენციას, ან მოისურვებს 2019 წლის ზაფხულში მიღებული შედეგების გაუმჯობესებას.

რა იგულისხმება გადამზადების პროგრამაში?

მას შემდეგ რაც გამოცხადდება საგნობრივი და პროფესიული უნარების გამოცდაზე რეგისტრაცია, პრაქტიკოს მასწავლებლებს საშუალება ექნებათ დარეგისტრირდნენ შესაბამის ტრენინგებზე, ხოლო თუ მასწავლებელს დასჭირდება განმეორებით გამოცდაზე გასვლა, მას სახელმწიფო შესთავაზებს გრძელვადიან 80-90 საათიან ტრენინგებს.

აღნიშნულ მოსამზადებელ ტრენინგებში მასწავლებლები კრედიტქულებს ვერ მიიღებენ.

როგორ მოხდება ფულადი ჯილდოს დაანგარიშება?

ფულადი ჯილდო დაანგარიშდება შემდეგი პრინციპით: იმ პერიოდისათვის მასწავლებლის ხელზე ასაღები ხელფასი გამრავლდება 24 თვეზე.

ერთჯერადად ფულად ჯილდოს მოთხოვნის უფლება მხოლოდ 2019 წლის ჩათვლით იქნება შესაძლებელი?

ეს შეთავაზება 2019 წელს ეხება. შემოდგომაზე, განმეორებითად კომპეტენციის დაუდასტურებლობის შემთხვევაშიც შეძლებს საპენსიო ასაკის მასწავლებელი ჯილდოს მოთხოვნას.

შეძლებენ თუ არა ჯილდოს აღების შემდეგ მასწავლებლები ხელმეორედ დასაქმებას?

ცხადია შეძლებენ. მათ მოუწევთ არსებული საკანონმდებლო რეგულაციების თანახმად, ვაკანსიაზე გამოცხადებულ კონკურსში მიიღონ მონაწილეობა.

მხოლოდ ყველა საპენსიო ასაკის პრაქტიკოსმა მასწავლებელმა უნდა დაადასტუროს საგნობრივი და პროფესიული კომპეტენცია 2019 წლის ბოლომდე და აიმაღლოს სტატუსი, თუ ყველა პრაქტიკოსმა მასწავლებელმა?

ყველა პრაქტიკოსმა მასწავლებელმა. თუმცა ამ პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში, სკოლის საჭიროებიდან გამომდინარე, 2020 წლიდან მათ ეძლევათ შესაძლებლობა იგივე ხელფასის შენარჩუნებით გააგრძელონ მუშაობა დროებითი ხელშეკრულებით.

გავრცელდება თუ არა ეს პრივილეგია კერძო სკოლის საპენსიო ასაკის პრაქტიკოს მასწავლებლებზე?

ერთჯერადი ჯილდოს პრივილეგია ვრცელდება მხოლოდ საჯარო სკოლის საპენსიო ასაკის პრაქტიკოს მასწავლებლებზე.

ვის ექნება გამოცდაზე რეგისტრაციის საშუალება?

გამოცდებზე რეგისტრაციის უფლება ექნებათ:

მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში განაწილებულ პრაქტიკოს მასწავლებლებს;

პირებს, რომლებიც ფლობენ ბაკალავრის, მაგისტრის და/ან მათთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს და მიღებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი საგნის/საგნობრივი ჯგუფის აკადემიური ხარისხი, ასევე სამხედრო/სასპორტო პროფესიული განათლების მქონე პირებს.

მასწავლებლობის მსურველებს, რომელთაც დიპლომის საფუძველზე აქვთ მასწავლებლობის უფლება.

თუ პირი არ ფლობს რომელიმე ზემოაღნიშნულ კვალიფიკაციას, იგი საგნის გამოცდაზე მიღებულ შედეგს ვერ გამოიყენებს მასწავლებლის საქმიანობის მიზნებისთვის.

რა ცვლილებები იგეგმება სქემაში 2019 წლის ბოლომდე?

უფროსი, წამყვანი და მენტორი მასწავლებლები ინარჩუნებენ სტატუსს უვადოდ; მხოლოდ იმ უფროს მასწავლებელს მიეცემა სტატუსის ამაღლებისათვის გარე დაკვირვებაზე დარეგისტრირების საშუალება, რომელსაც 2018-2019 სასწავლო წლის ბოლოსთვის მოპოვებული ექნება 15 კრედიტქულა დარჩენილი სავალდებულო (2 სამოდელო გაკვეთილი და პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა) და არჩევითი აქტივობებით.

აღსანიშნავია, რომ უფროს მასწავლებელს უფლება აქვს, მოიპოვოს მენტორი მასწავლებლის სტატუსი წამყვანის გამოტოვებით. ვინ შეაფასებს სკოლაში მასწავლებლის პროფესიულ საქმიანობას 2020 წლიდან?

მასწავლებლის შეფასებისა და მათი პროფესიული განვითარების მხარდაჭერის მიზნით სკოლებში ჩამოყალიბდება ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფები, რომლებიც მასწავლებლებს შეაფასებენ ორი მიზნით.

ახალი სკოლის მოდელის ფარგლებში

კასპის პირველ საჯარო სკოლაში 22 აპრილიდან 10 მაისამდე ახალი სკოლის მოდელის ფარგლებში განხორციელდა პროექტი "გარემოს დაცვა" ეგიდით "გავუფრთხილდეთ გარემოს".

პროექტის მიზანი იყო მოსწავლეთა ეკოლოგიური წიგნიერების ამაღლება.

სამიზნე ჯგუფს ამჯერად VII-IX კლასის მოსწავლეები წარმოადგენდნენ. (პროექტის კოორდინატორები: ბიოლოგიის მასწავლებელი მ. გოჭოშვილი და ფიზიკის მასწავლებელი ლ. მზარეულიშვილი.)

პროექტის ფასილიტატორებმა (ფასილიტაცია - ნებისმიერი აქტივობა, რომელიც გულისხმობს რაიმე პროცესების ხელშეწყობას, ან სხვისი დავალებების გაადვილებას. ადამიანს, რომელიც კისრულობს ამ როლს, ეწოდება ფასილიტატორი. ტერმინი ,,ფასილიტატორი'' გამოიყენება განათლების სისტემაში და ნიშნავს სპეციფიკური გამოცდილების მქონე ადამიანს, რომელიც ეხმარება სხვებს სასწავლო მიზნების მიღწევაში. ფასილიტატორი არის სკოლის მასწავლებელი, რომელმაც გაიარა სპეციალური მომზადება და ცდილობს, გადასცეს თავისი გამოცდილება სხვა მას წავლებელს), კლასის ხელმძღვანელებს გააცნეს პროექტის მიზნები და განსახორციელებელი აქტივობები.

27 აპრილს სკოლის სააქტო დარბაზში მოეწყო VIII-ბ კლასის მოსწავლეთა მიერ სხვადასხვა წყაროებიდან მოძიებული ინფორმაციის პრეზენტაციები "გავუფრთხილდეთ დედამიწას!", დარბაზისათვის მომზადებული იყო კითხვები თემის შინაარსიდან გამომდინარე. 3 მაისს მოეწყო გარემოს დაცვისადმი მიძღვნილი მოსწავლეთა ნახატების გამოფენა "დაიცავი გარემო, დაიცავი შენი მომავალი". დერეფნებში დაიდგა მაკულატურის შესაგროვებელი ყუთი წარწერით "ჩვენი წვლილი გარემოს დაცვაში". პროექტის განხორციელებაში ჩართული იყვნენ მშობლები. მოსწავლეებში ამაღლდა გარემოს მიმართ მზრუნველი დამოკიდებულება და სამომავლოდ შეძლებენ თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას.



სააღდგომოდ

აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ იძულებით გადაადგილებულ და სოციალურად დაუცველ ოჯახებს, რომელთა სარეიტინგო ქულა 0-დან 1001-მდეა, ასევე ასი და ასწელს გადაცილებულ ხანდაზმულ მოქალაქეებს (362 ოჯახი) კასპის მუნიციპალიტეტის მერიამ სასაჩუქრე პაკეტები გადასცა.

პირველი ივნისი

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე

როგორ ხვდება ბავშვთა დაცვის დღეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საბავშვო ბაღები, რამდენად გეგმიურად მუშაობენ აღმზრდელები, ფსიქოლოგები, წარმატებულია პატარების სკოლამდელი აღზრდის რეალობა? გვესაუბრება კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორი მანანა ხვთისიაშვილი.

ბავშვები ჩვენი მომავალია — ამ ფრაზას ხშირად გაიგონებთ, როცა საუბარია ბავშვების ცხოვრებისა და მათი სამყაროს გაუმჯობესებაზე...

ბავშვის საგანმანათლებლო და ცხოვრებისეულ წარმატებას საფუძველი ეყრება ადრეულ ასაკში და ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სკოლამდელი განათლება იყოს მაღალი ხარისხის.

ბაღი ყველა ბავშვისთვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი. ეს უმნიშვნელოვანესი სინამდვილე თვალნათლივ ამტკიცებს სკოლამდელი აღზრდის საჭიროებასა და მნიშვნელობას. ჩვენი მიზანია მივაწოდოთ აღსაზრდელებს ასაკის შესაბამისი მრავალფეროვანი ცოდნა, ხელი შევუწყოთ ბავშვის ყოველმხრივ განვითარებას.

მშობლებთან ურთიერთობა საგანმანათლებლო პროცესის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. აღმზრდელმა პოზიტიური ურთიერთობა უნდა დაამყაროს აღსაზრდელების მშობლებთან და მაქსიმალურად ჩართოს საგანმანათლებლო პროცესში.

ჩვენს ქვეყანაში სკოლამდელი განათლების ორგანიზება არის ადგილობრივი თვითმმართველობის ექსკლუზიური უფლება. კასპის მუნიციპალიტეტში 26 საბავშვო ბაღია, 2012 წლიდან აღსაზრდელების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება, დიდი ყურადღება ექცევა ბავშვთა კვებას, ჰიგიენას და საალმზრდელო პროცესს.

იმისათვის, რომ ვიცოდეთ, თუ როგორ დაძლიეს ბავშვებმა სასკოლო მზაობის პროგრამა, ყოველწლიურად ტარდება ღია მეცადინეობები და წელსაც საბავშვო ბაღებში მოეწყო "მუსიკის საათი", "ლოგოპედის საათი", დავესწარით აგრეთვე, საალმზრდელო პროცესს და ამით ნათლად გამოჩნდა მთელი წლის ნამუშევარი, თუ როგორ არის ჩართული სასწავლო პროცესში მეთოდისტი, როგორ მუშაობს ბავშვებთან ლოგოპედი, როგორ ართმევს თავს თავის ფუნქციას აღმზრდელი, ერთი სიტყვით, ყველაფერი კონტროლდება.

ამდენად, ჩვენი ქალაქის ხუთივე საბავშვო ბაღში წინასწარ გაწერილი განრიგის მიხედვით ჩატარდა კარგად ორგანიზებული სასწავლო საალმზრდელო პროცესები, რომელსაც ესწრებოდნენ ჩვენი გაერთიანების აპარატის თანამშრომლები და კასპის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე, ამავე სამსახურის სპეციალისტი თეონა მილაძე, სასწავლო პროცესში ჩართული იყვნენ აგრეთვე, სოფლების საბავშვო ბაღების მუსიკის მასწავლებლები, მეთოდისტები, ლოგოპედები, რომლებიც გამოთქვამდნენ საკუთარ შეხედულებებსა და მოსაზრებებს, პირუთვნელად აფასებდნენ ღონისძიების ავკარგიანობას... სამაგალითოდ წარმოადგინეს სასწავლო აქტივობები აღმზრდელებმა: ნანა დალაქიშვილმა და ნანა მერებაშვილმა, მაკა ღვინიაშვილმა და ნელი გორგაძემ, დარეჯან ოთარაშვილმა და თინათინ თინიკაშვილმა, ლია აფციაურმა და ეთერ მამულაშვილმა.

ყველაზე საინტერესო, უფრო მეტიც, პროგრესული გახლავთ ის ფაქტი, რომ თითოეული აღმზრდელი ბავშვებთან მუშაობისას ხელმძღვანელობს ადრეულ ასაკში სწავლისა და განვითარების სტანდარტებით. აღმზრდელი მზრუნველობით და ყურადღებით ეკიდება, ითვალისწინებს ბავშვის ინტერესებსა და საჭიროებებს. მეთოდისტის უშუალო ხელმძღვანელობით და სასწავლო პროგრამაზე დაყრდნობით მუშავდება, ვითარდება ჯგუფის დღიური განრიგი, გრძელვადიანი სასწავლო გეგმა; მიმდინარეობს ბავშვის მდგომარეობის დაკვირვება მთელი დღის განმავლობაში. მერე კი, რა თქმა უნდა, საჭიროების შემთხვევაში ზუსტი ინფორმაცია მიეწოდება ფსიქოლოგს, ექთანს, რასაკვირველია, მშობელსაც.

ორგანიზებულად უძღვებიან დაკისრებულ მოვალეობას ლოგოპედები: დოდო ონიანი და მარი მარიდაშვილი, რომლებიც სპეციალური მეთოდების გამოყენებით მუშაობენ აღსაზრდელებთან, მუსიკის მასწავლებლები: შორენა ჯოჯიშვილი, ნინო მერებაშვილი, ლაურა ხასიევა, ნაზიბროლა ტურაშვილი, ელიზა ხორგუაშვილი, რომლებიც მუსიკალურ აქტივობებთან ერთად, სისტემატურად მონაწილეობენ საალმზრდელო პროგრამის მომზადებასა და შედგენაში.

განსაკუთრებული მონდომებითა და ორგანიზებულობით გამოირჩევიან სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების თანამშრომლები: მანანა მერებაშვილი, ნია ჯუხარიძე, ხათუნა ხაჩიძე, მაია მაზმიშვილი, მაია ბარნოვი, ოლია ლეონიძე, ნათია მოსიაშვილი, რომლებიც ზრუნავენ, ყოველნაირად ხელს უწყობენ მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღებში სანიმუშო სამუშაო გარემოს დამკვიდრებას...

ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე - პირველი ივნისი გულითადად მივულოცო ყველა პატარას, მათ მშობლებს და, რა თქმა უნდა, აღმზრდელ-მასწავლებლებს, ვუსურვო მათ კეთილდღეობა, წარმატებები ყოველი ჩვენგანისათვის უმნიშვნელოვანეს - მოზარდთა აღზრდის საქმეში.

კიდევ ერთი ვარსკვლავი ჩვენს ქალაქში

2019 წლის 19 მაისს, კასპის ომარ კელაპტრიშვილის სახელობის კულტურის სახლის შესასვლელში გაიხსნა ღვაწლმოსილი ქორეოგრაფის, კულტურის სახლის ყოფილი სამხატვრო ხელმძღვანელის, ღირსების ორდენის კავალერის რუსუდან მჭედელაძის სახელობითი ვარსკვლავი.

1974 წელს რუსუდან მჭედელაძემ კასპის კულტურის სახლში ჩამოაყალიბა ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი "საზანდარი" და ტანვარჯიშის წრე, მანამდე კი თვითონ ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ანსამბლში ცეკვავდა. "საზანდარმა" 34 წლის განმავლობაში გასტროლით შემოიარა საქართველოს და საბჭოთა კავშირის ქალაქები. წლების განმავლობაში. ქალბატონი რუსუდანი რევაზ ჭოხონელიძესთან ერთად ქორეოგრაფიულ ანსამბლ "დიდგორის" ასისტენტი იყო.

რუსუდან მჭედელაძის აღზრდილები დღეს წარმატებული ქორეოგრაფები არიან და მოღვაწეობენ როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც.

რუსუდან მჭედელაძეს მიღებული აქვს მრავალი დიპლომი, სიგელი, ჯილდო, მედალი და სამახსოვრო საჩუქარი. მას უდიდესი წვლილი მიუძღვის ქართული კულტურის განვითარებასა და პოპულარიზაციაში.

ვარსკვლავის გახსნასთან ერთად გაიმართა საქველმოქმედო კონცერტი საქართველოს კულტურის პალატის და კასპის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით. რუსუდან მჭედელაძემ ღვაწლის დაფასებისათვის მადლობა გადაუხადა ღონისძიების ორგანიზატორებს.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

დაიცავი დედამიწა

კასპის მუნიციპალიტეტში დედამიწის საერთაშორისო დღე აღინიშნა. ამ დღეს მიეძღვნა ღონისძიება დაიცავი დედამიწა, რომლის ორგანიზატორები და მხარდამჭერები იყვნენ არასამთავრობო ორგანიზაცია - CENN რომელიც ახორციელებს პროექტს ნარჩენების მართვის ტექნოლოგიები რეგიონებში - USAID ის ფინანსური მხარდაჭერით, კასპის მუნიციპალიტეტის მერია, მუნიციპალიტეტის მერიასთან არსებული გენდერული საბჭო და ა/ო "ფიქრის გორა"-სთან არსებული გოგონათა კლუბი.

დასუფთავების აქცია დიდ სამამულო ომში დაღუპულთა მემორიალთან და სს "ჰაიდელბერგცემენტის" მიმდებარე ტერიტორიაზე მოეწყო.

აქცია დასუფთავებისათვის საჭირო ინვენტარით უზრუნველყო ორგანიზაცია -CENN მა რომელიც შიდა ქართლში - USAID -ის ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს პროექტს ,,ნარჩენების მართვის ტექნოლოგიები რეგიონებში". აქციის შედეგად მოგროვილი ნარჩენი კი ა(ა)იპ "კასპის კეთილმოწყობამ" გაიტანა.

აქციის ორგანიზატორები ახალგაზრდებთან ერთად ქალაქის ცენტრში შეიკრიბნენ და სხვადასხვა აქტივობები გამართეს. ღონისძიებაზე, რომელსაც მოსწავლე-ახალგაზრდობის შემოქმედებითი წრის მოსწავლეების ნამუშევრები ალამაზებდა, სხვადასხვა კონკურსები ჩაატარეს. კონკურსის გამარჯვებულები დასაჩუქრდნენ, ყველა მონაწილეს კი მუნიციპალიტეტის მერიამ მადლობის სიგელები გადასცა.

,,მგზავრის წერილები,,-ს მიხედვით

ომარ კელაპტრიშვილის სახელობის კასპის კულტურის ცენტრში ნოდარ დუმბაძის მოზარდ მაყურებელთა თეატრმა სპექტაკლი გამართა.

სპექტაკლი ჭავჭავაძის "მგზავრის წერილების" მიხედვით დადგა რეჟისორმა დიმიტრი ხვთისიაშვილმა.

ვარსკვლავოსანი "დიდგორი"

2019 წლის 19 აპრილს კასპის კულტურის ცენტრის შესასვლელში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ცეკვის აკადემია "დიდგორის" ვარსკვლავი... ამ ნიშანდობლივ, მართლაც და, ისტორიული თარიღის აღსანიშნავ ღონისძიებაზე უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი, აქ იყვნენ დედაქალაქიდან მოწვეული სტუმრები, ანსამბლის რამდენიმე თაობის მოცეკვავეები, ხელოვნებისა და კულტურის, ქართული ფოლკლორისა და ქორეოგრაფიის ცნობილი სახეები, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები.

...შეგახსენებთ, რომ ზუსტად 36 წლის წინ, 1983 წლის შემოდგომაზე ჩვენს ქალაქში დაარსდა დავით ჯავრიშვილის სახელობის სახალხო ქორეოგრაფიული ანსამბლი "დიდგორი", რომლის მთავარ ქორეოგრაფად დაინიშნა საქართველოს სახალხო არტისტი, სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის, ლეგენდარული "ერისიონის" ბალეტმაისტერი რეზო ჭოხონელიძე, რომელმაც სიცოცხლის ბოლომდე უერთგულა "დიდგორს" და იყო მისი შეუცვლელი კონსულტანტი... ანსამბლ "დიდგორს" დაარსების დღიდან, ხატოვნად რომ ვთქვათ, აკადემიურად უძღვება ბრწყინვალების ორდენის კავალერი ქეთევან მონასელიძე, ხოლო მისი მთავარი ქორეოგრაფია "დიდგორის" პირველი თაობის მოცეკვავე, დესპანისა და ამაგდარის მედლის მფლობელი მარინა რუსიშვილი, ქორეოგრაფი, "დიდგორის" მეექვსე თაობის მოცეკვავე დარინა პაპაშვილი.

ოცდათექვსმეტი წლის განმავლობაში ცეკვის აკადემია "დიდგორი" აქტიურად, დიდი წარმატებით მონაწილეობდა რეგიონალურ თუ რესპუბლიკურ ფესტივალებსა და სხვადასხვა პრესტიჟულ კონკურსში. არსებობის დღიდან, ანსამბლში 11 თაობა შეიცვალა და მისი 5 ათასამდე აღსაზრდელი ეზიარა ქართული ქორეოგრაფიის მადლს. ანსამბლმა 800-ზე მეტ კონცერტში მიიღო მონაწილეობა, 170-ჯერ კონკურს-ფესტივალში, 8-ჯერ გახდა გრან-პრის მფლობელი, 29-ჯერ საერთაშორისო ფესტივალის მონაწილე, ორჯერ მიენიჭა წლის "საუკეთესო" ანსამბლის წოდება, 3 ათას 960 ოქროს მედალი ამშვენებს "დიდგორის" სხვადასხვა თაობას, გამოიცა ანსამბლის ერთი საავტორო ჟურნალი, 600-ზე მეტი სტატია, ფოტოები დაიბეჭდა ადგილობრივ,

რეგიონულ, რესპუბლიკურ თუ უცხოურ პრესაში, "დიდგორი" 18-ჯერ იყო მიწვეული საზღვარგარეთის ქვეყნებში საგასტროლოდ... ახლა უკვე ვარსკვლავოსანი "დიდგორი" მონაწილეობას მიიღებს თურქეთის სახალხო რესპუბლიკაში გამართულ ორ ფესტივალში, დიახ, წელს დიდგორელები /31. 08-დან 07. 09-მდე/ საქართველოს სახელით იცეკვებენ ქალაქ ნაზილში "ლეღვის" ფესტივალზე და შემდეგ კი, /07. 09-იდან, 11. 09/ ქალაქ უშადასის "ლიმონის" ფესტივალზე.

... საგასტროლო მოგზაურობამდე, უფრო ზუსტად კი, ვარსკვლავის გახსნამდე, ანსამბლი კიდევ ერთხელ ამაყად შეხვდა თავის ერთგულ და მოსიყვარულე კასპელ მაყურებელს, რა თქმა უნდა, სადღესასწაულო კონცერტზე, რომელშიც მონაწილეობდა "დიდგორი", "დიდგორი"- 2, "დიდგორი" -3, "დიდგორი" -4.

შესრულდა მაყურებლის საყვარელი "სადარბაზო", "ხორუმი", "ქართლ-კახური", "აჭარული", "ოსური", "აფხაზთა როკვა" და სხვა პოპულარული ცეკვები /სულ 10-12 გამოსვლა/, დარბაზი ოვაციებით შეხვდა / ცეკვის "ქართველების ერთად ყოფნა" — კომპოზიციაში/ მთავარი ქორეოგრაფის მარინა რუსიშვილის მიერ შესრულებულ "ქართულს", აგრეთვე, ქორეოგრაფ დარინა პაპაშვილის გამოსვლას,

რომელმაც მაყურებელს წარუდგინა ესპანური "პასადობლი".

რეპერტუარით მოხიბლული მაყურებელი აღტაცებას, ემოციას გამოხატავდა, დარბაზში ისმოდა გამამხნევებელი შეძახილები. მაყურებელს მხარს უბამდა კონცერტის წამყვანი, კინორეჟისორი და ცნობილი პროდიუსერი, მეცნიერებისა და ხელოვნების განვითარების ფონდ "ნოვას" პრეზიდენტი რამაზ ბლუაშვილი და გამუდმებით სკანდირებდა: "დიდგორი" განუმეორებელია, იგი ხელოვნების ქურუმის, ქორეოგრაფიის მეტრის, დიდი რეზო ჭოხონელიძის ნასაზრდოებია, მისი "შვილობილია" და რეგიონში ბავშვთა ანსამბლებში ბადალი არ ჰყავს, უფრო მეტიც, მას კონკურენტი არ ჰყავს... კონცერტის წამყვანმა ისიც დააანონსა, რომ საქართველოს ქორეოგრაფიული ეროვნული ცენტრის თავმჯდომარემ ზაზა მჟავანაძემ ფრიად საყურადღებო იდეა შესთავაზა ანსამბლის ხელმძღვანელობას, კერძოდ, ორი დიდი მოღვაწის, დავით ჯავრიშვილისა და რევაზ ჭოხონელიძის უკვდავსაყოფად ქალაქის კულტურის სახლის შესასვლელში დაიდგას მონუმენტი.

ანსამბლ "დიდგორის" 36-წლიანი მოღვაწეობა დადებითად შეაფასეს და მისთვის ვარსკვლავის გახსნას

დამსახურებული ჯილდო უწოდეს საქართველოს შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარემ, პროფესორმა, ვარსკვლავოსანმა რევაზ ჭანიშვილმა, ქართული ნაციონალური ბალეტის "მეტეხის" ფოცხიშვილების დირექტორმა და სამხატვრო ხელმძღვანელმა, ხელოვნების ქურუმის, ღირსებისა და ცეკვის რაინდის ორდენოსანმა გელოდი ფოცხიშვილმა, სახალხო არტისტმა, საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლ "ერისიონის" დირექტორმა ოთარ ბლუაშვილმა, ღირსების ორდენის კავალერმა, კულტურის პალატის წარმომადგენელმა ნუნუკა შათირიშვილმა, ანსამბლ "დიდგორის" პირველი თაობის მოცეკვავემ და რეზო ჭოხონელიძის ვაჟმა კახა ჭოხონელიძემ, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, შიდა ქართლის ტურისტული კავშირის თავმჯდომარემ რობერტ მაღლაკელიძემ... დაბოლოს, ანსამბლის მოცეკვავეებისა და მათი მშობლების, ქორეოგრაფიის თაყვანისმცემელთა სახელით "დიდგორის" სამხატვრო ხელმძღვანელმა ქეთევან მონასელიძემ უღრმესი მადლობა გადაუხადა ყველა სტუმარსა და მხარდამჭერს, რომელმაც გულმხურვალედ უერთგულა სახელოვან მოცეკვავეებს.

მერე კი, დადგა ნანატრი, დასამახსოვრებელი წუთები, დაიწყო ვარსკვლავის გახსნის ცერემონიალი, კულტურის ცენტრის შესასვლელთან თავი მოიყარა სტუმარმასპინძელმა, ანსამბლის 180 მოცეკვავე, მათი მშობლები, ძველი დიდგორელები მქუხარე აპლოდისმენტებითა და ტაშით შეხვდნენ საქართველოს კულტურის პალატის თავმჯდომარეს დავით ოქიტაშვილს / მას ჰქონდა ვარსკვლავის გახსნის ექსკლუზიური უფლება/, რომელმაც ქართული მრავალჟამიერის ფონზე სპეციალური, ვარსკვლავიანი საფარი გადახადა და გამოჩნდა ოქროსფერი წარწერა — "დიდგორი" ვარსკვლავითურთ... იყო ზღაპრული სანახაობა, საზეიმო, ამაღლებული განწყობა, ზემოდან იფრქვეოდა ფერად-ფერადი ფეიერვერკები და თვალისმომჭრელად დაფრინავდა ბრჭყვიალა დრონი.

რუსუდან ხეჩუაშვილი.

მე და წიგნი

ყველას გვინახავს "წარმატებული", ბურჟუაზიულ ნირვანაში მოლივლივე, პირთამდე დაპურებული, "ქვაცა მაქვს და კაკალიც" - მოტრაბახე ვერ შემდგარი პიროვნებები. მატერიალური კეთილდღეობის ყველაზე მაღალ საფეხურზეც კი ოცნებობენ იყვნენ განსწავლული... და არც თუ ისე იშვიათად, ფიქრში მაინც, საყვედურობენ გამზრდელს თავის დროზე "ტომ სოიერის თავგადასავალი" მაინც, რომ არ წააკითხა ...

როგორ პათეტიკურ მისტიფიკაციადაც არ უნდა მოგვეჩვენოს უწიგნურთა არსებობა აჩერებს ქვეყნის განვითარებას და გვაშორებს ილიასეულ "ჩვენ მომავალს." ისინი შეუიარაღებელი თვალითაც ადვილად შესამჩნევი არიან და თუ ამ პუბლიკაციის დასაწყისში მათზე შევაჩერეთ ყურადღება, მხოლოდ იმიტომ რომ კონტრასტი თვალხილული გავხადოთ (მედროვეები ნუ გამოგვეხმაურებიან!) თანაც განუგეშოთ, ხაზგასმით და სიხარულით დავაფიქსიროთ — განათლებული თაობა მოდის! (კიდევ კარგი!).

კასპის საქალაქო ბიბლიოთეკაში ჩატარდა წიგნისა და ცოდნის ფიესტა - დღე სასწაული! ინტელექტუალური თამაში "მე და წიგნი".

ორგანიზატორი - კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების გაერთიანება (დირექტორი ეთერ ჩადუნელი), მთავარი მოქმედი გმირნი და შემსრულებელნი:

კასპის №1 საჯარო სკოლის გუნდი "ოლიმპო": ლალი ოსიყმიშვილი, დავით ფეიქრიშვილი, მარიამ აბულაძე, სოფია პავლიაშვილი, ლედი ონეზაშვილი, ნანი გოჭოშვილი, გიორგი ხიდაშელი, გურამ ბერიანიძე - პირველი ადგილი!

კასპის მეორე საჯარო სკოლის გუნდი: ოთარ ნონიაშვილი, გიორგი მახარაძე, დავით გიგილაშვილი, თათია მანგოშვილი, მარიამ გაბოძე, სოფი ქოქაშვილი, ოთარ მამაცაშვილი, გიორგი ქესური - მეორე ადგილი!

ქვემო ჭალის საჯარო სკოლის გუნდი "თეზაფი": ლუკა ისერგიშვილი, მარიამ ბერიაშვილი, თამარ ტენტერაშვილი, თამარ ბათილაშვილი, თათა ბერიანიძე, ნინო ტენტერაშვილი - მესამე ადგილი.

სულ მონაწილეობდა 11 საჯარო სკოლის ინტელექტუალთა გუნდი:

იგოეთის საჯარო სკოლის გუნდი: იმედა იალოიანი, მიხეილ ხუციშვილი, ნუცა ქარსელაძე, გიორგი თამარაშვილი, ნათია ღარიბაშვილი, მარიამ ზაალიშვილი, თამარ თამარაშვილი, ნიტა ქარსელაძე.

სასირეთის საჯარო სკოლის გუნდი "კარცერი ლუქსი": მაკა მაისურაძე, ანი ბერიაშვილი, მარი დავითაშვილი, ნინო ჭაღიაშვილი, მარიამ ბარნაბიშვილი, მარი მაისურაძე, მაკა გულიაშვილი, ეთერ ბიჭიკაშვილი.

ოკმის საჯარო სკოლის გუნდი "ოკამი": ზურაბ ყველაშვილი, მარი პაპიაშვილი, ხატია შერმადინი, რევაზ ქოთოლაშვილი, მედეა შუკაკიძე, ანნა თათარაშვილი, თამარ ხუროშვილი.

მეტეხის პირველი საჯარო სკოლის გუნდი "ფენიქსი": ლიზი კავსაძე, ქეთევან გეჯაძე, ნინო მერებაშვილი, იოსებ გზირიშვილი, გიორგი შარიფაშვილი.

სამთავისის საჯარო სკოლის გუნდი "სამთავისი": ლაშა მჭედლიძე, თემურ ილურიძე, ქეთევან ხუციშვილი, გიორგი კაპანაძე, გივი თამაზაშვილი, გიორგი ბალხამიშვილი.

კავთისხევის საჯარო სკოლის გუნდი "კავთა": ალექსანდრე პაპინაშვილი, დავით იაძე, ტატო გურიშვილი, შალვა ჭეჭელაშვილი, ეთერ ნონიკაშვილი, ნიკა ზავრადაშვილი, ანი მორჩილაძე, მარიამ მუხიგულაშვილი.

ნიგოზას საჯარო სკოლის გუნდი "ჰელიოსი": ნინო მელაძე, გოგა ჩიტიშვილი, ნინი გოჭოშვილი, სოფი მელაძე, გიორგი ხოხაშვილი, ლინა გოჭოშვილი, გიგი გოჭოშვილი, ლუკა გოჭოშვილი.

დოესის საჯარო სკოლის გუნდი "კანუდოსი": დიანა ბეგლარაშვილი, სოლომონ შაქარაშვილი, გიორგი ხეჩუაშვილი, ნათია ბეგლარაშვილი, ანა გერმისაშვილი, დავით ხეჩიკაშვილი, ირაკლი აბრამიძე, თამარ ხეჩიკაშვილი.

ჟიურის შემადგენლობა: კასპის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე, გაზეთ "ახალი განთიადი"-ს რედაქტორი ნანა მერებაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ბიბლიოთეკების გაერთიანების დირექტორი ეთერ ჩადუნელი, ამავე გაერთიანების სპეციალისტი ლია სოზიაშვილი, კასპის საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენელი თამარ მამულაშვილი.

საორგანიზაციო კომიტეტი: ღონისძიება მოამზადა და მიჰყავდა ბიბლიოთეკების გაერთიანების სპეციალისტს ლია მენაბდიშვილს; კომიტეტის წევრები: გაერთიანების სპეციალისტი ეკატერინე კუსრაშვილი, საქალაქო ბიბლიოთეკის სპეციალისტები რუსუდან აბუაშვილი, მერი ბარჯაძე, ია ბიძინაშვილი, ელდარ ტატუნაშვილი და ამავე ბიბლიოთეკის მენეჯერი მაია აბუაშვილი.

ტექნიკური უზრუნველყოფა: კასპის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორი მიხეილ ქოსაშვილი; საქართველოს პარლამენტის კასპის ბიუროს წარმომადგენელი ლაშა ზუბიაშვილი.

განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს მონაწილე სკოლების, მათი დირექტორების, პედაგოგების აქტიური ჩართულობა, გნებავთ მოსწავლეების მომზადება ასეთი კონკურსისათვის.

ეს დღე დიდხანს გვემახსოვრება მონაწილეთა მრავალრიცხოვნებით და თითქმის კურიოზული ფინალით: 24 საკონკურსო კითხვას დაემატა კიდევ 10 დამატებითი კითხვა, რადგან...

პირისპირ დარჩენილ კასპის №1 და №2 საჯარო სკოლა, (ორივე 12 - 12 ქულით) ცხრა კითხვაზე ერთნაირად წარუმატებლად პასუხობდა, მხოლოდ მეათე კითხვამ და ამ კითხვის პასუხმა, "ბიბლია" (!), გამოავლინა გამარჯვებული!

აქვე აღვნიშნავთ, რომ გამარჯვება კარგია, მაგრამ ასეთ დაძაბულ და შეუპოვარ ბატალიაში მონაწილეობაც ძალიან მნიშვნელოვანი და საპატიოა! ინტელექტუალური თამაშის მნიშვნელოვანი დეტალი გახლდათ შემოთავაზებული კითხვები (შეადგინა კასპის ბიბლიოთეკების გაერთიანების სპეციალისტმა ლია მენაბდიშვილმა). რთულ კითხვებზე მიღებულმა პასუხებმა გახადა თვალნათელი, რომ მოსწავლეები კითხულობენ წიგნებს, კარგად იცნობენ კლასიკოსებს და ახალ მწერლებს.

და კიდევ, გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი 88 მონაწილიდან ნახევარს მაინც გაუჩნდება სურვილი წიგნთან კიდევ უფრო დაახლოების; ჩავთვალოთ, რომ ბიბლიოთეკების გაერთიანებამ ამ ღონისძიებით კიდევ ერთხელ თავისი ფუნქცია შეასრულა. ამჯერად, აღარ გავავრცობთ, თუ როგორ სჭირდება საქართველოს წიგნიერი ახალგაზრდობა.

კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების გაერთიანება.

ქალაქის მეოთხე საბავშვო ბაღში

ცოდნის მეგვლოითი გზამკვლევი

სააღმზრდელო და საგანმანათლებლო, შემეცნებითი და მეთოდოლოგიური სწავლების პროცესების სრულყოფასა და დახვეწას, ხელშეწყობას ერთ-ერთი პრიორიტეტული როლი აკისრია კასპის მეოთხე საბავშვო ბაღის მიმდინარე და პერსპექტიულ სამუშაო გრაფიკში... მეტიც, უმაღლეს დონეზე მოწყობილ, კომფორტულ და გალამაზებულ ბაღში /180-200 აღსაზრდელზე გათვლილი/ მართლაც რომ მუდამ სანიმუშო, ამაღლებული და იმედის მომცემი განწყობა სუფევს და ცხადია, მთელი პედაგოგიური კოლექტივი, აღმზრდელ-მასწავლებლები, მშობლები პატარებთან ერთად მტკიცე გარანტიას ქმნიან იმისათვის, რომ ბაღის ნებისმიერი კურსდამთავრებული განათლებული, ფიზიკურად ძლიერი და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ზნეობრივ ადამიანად აღიზარდოს.

თვე, კვირა არ გაივლის ისე, რომ მეთოდისტებისა და აღმზრდელ-მასწავლებლების, მშობლების მონაწილეობით სანახაობრივად ლამაზი და შემეცნებითი პროექტი არ დაიგეგმოს და განხორციელდეს, რა თქმა უნდა, 4-5 წლიანი აქტიური ბავშვების მონაწილეობით... ამ მხრივ აღსაზრდელებს განსაკუთრებით დაამახსოვრდათ კასპის საქალაქო ბიბლიოთეკასა და მესამე საჯარო სკოლაში სტუმრობა.

— მრავალწლიანმა გამოცდილებამ ცალსახად დამარწმუნა, რომ აღსაზრდელთა აქტივობისა და მოტივაციის ზრდას განსაკუთრებულად უწყობს ხელს სწორად შერჩეული შემეცნებითი აქტივობების განხორციელება, — აცხადებს ბაღის გამგე დალი კოტეტიშვილი, — ამიტომაც არის, რომ ჩვენი ბაღის აღმზრდელ-მასწავლებლები, მეთოდისტები, ფსიქოლოგები სწავლების

დასასრული გვ-10.

სპორტულ-ტექნიკური შედეგების შესახებ

ქართული ჭიდაობა: 17 აპრილი, ქ. გორი – ცნობილი მოჭიდავის დურმიშხან ბერუაშვილის ხსოვნის მემორიალური ტურნირი (ჭაბუკთა შორის): მე-3 საპრიზო ადგილის მფლობელი გახდა ლევან მამულაშვილი.

ჭიდაობა ძიუდო: 19-21 აპრილი, ქ. თბილისი – საქართველოს პირველობისათვის შესარჩევ საეტაპო ასპარეზობაში (ახალგაზრდებს შორის) წარმატებით გამოვიდნენ და ქ. თბილისში დაგეგმილ პირველობაზე გამოსვლის საგზურები მოიპოვეს: ვასილ გვიმრაძემ, სპარტაკ გულიაშვილმა, გურამ მეშველაშვილმა, სოსო იორდანაშვილმა, გიორგი ხუციშვილმა, დიმიტრი კუნდუხაშვილმა და ნიკო ხუბაშვილმა.

კარატე: 20 აპრილი, ქ. ქუთაისი – რესპუბლიკური მასშტაბის ტრადიციულ, რიგით 26-ე ტურნირში "ოფენ ქუთაისი" მონაწილეობდნენ ჩვენი ორივე კლუბის წარმომადგენლები. ჩემპიონ-პრიზიორთა ვინაობა ასეთია: "ხვადიდან" – I: ქეთევან წიკლაური და რიმა ბუცხრიკიძე, II – თამაზ ნაბახტეველი, ლევან ბიბილურიძე და გივი ფსუტური, III – ვახტანგ წიკლაური და დავით ჯანჯულია (მწვრთნელი დავით დალაქიშვილი); "კასპიდან": I – გიორგი შერმადინი, II – მარიამ მანძულაშვილი, III – ზურაბ გოგიაშვილი (მწვრთნელი ალექსანდრე მანძულაშვილი).

ტაეკვანდო: 21 აპრილი, ქ. გორი – შიდა ქართლის ღია ჩემპიონატში მოპოვებულია 4 მე-3 საპრიზო ადგილი: გიორგი შერმადინი, საბა ღვალაძე, ვასილ ხალიბეგაშვილი და მარიამ მანძულაშვილი (კლუბი "კასპის" მწვრთნელი ალექსანდრე მანძულაშვილი).

ჭადრაკი: 21 აპრილი, ქ. გორი – შიდა ქართლის სამხარეო პირველობაზე (8-წლამდელთა შორის) მეორე-მესამე ადგილები დაიკავეს მეტოქეებზე ასაკით უმცროსმა ჩვენმა ბიჭუნებმა ანდრია ზაქარაშვილმა და გაბრიელ ბეგლარაშვილმა, რითაც მოიპოვეს საქართველოს უმაღლესი ლიგის ფინალურ ეტაპზე გამოსვლის უფლება (მწვრთნელები მამუკა ზაქარაშვილი და ზაზა გორგაძე).

23 აპრილი, ქ. თბილისი: საქართველოს პირველი ეროვნული ჩემპიონატი ყაზახურ კურესში – კასპელი მოჭიდავეების მონაგარი: ჩემპიონი – გიორგი კაციაშვილი (82 კგ), მე-3 ადგილი – ნიკა ბოგველი (66) და გიორგი გუგულაშვილი (74 კგ). ყველაზე პრესტიჟულ კატეგორიაში (მძიმე წონაში) გამარჯვება არავის დაანება ბექა ბერძენიშვილმა. მწვრთნელები: ნუგზარ და იოსებ მამულაშვილები.

ჭიდაობა ძიუდო; 26-28 აპრილი, ქ. ლაგოდეხი: ცნობილი მოჭიდავის გიორგი ნავაძის მემორიალური ხსოვნის საერთაშორისო ტრადიციულ ტურნირში (ჭაბუკთა შორის) სპორტკომპლექსის გუნდი დაკომპლექტებული იყო 10 მოჭიდავით, რომელთაგან 7-მა მედალი მოიპოვა (2 ოქრო და 5 ბრინჯაო).

ჩემპიონები გახდნენ: ვასილ მერებაშვილი და საბა მარტიაშვილი, ხოლო მე-3 საპრიზო ადგილებზე გავიდნენ: ალეკო ხიზამბარელი, თემურ გოგრიჭიანი, მიშიკო ოდოშაშვილი, გიორგი ლალიაშვილი და გურამ სეხნიაშვილი.

ქართული ჭიდაობა: 3 მაისი, ქ. ყვარელი – საქართველოს პირველობა (2002-04 წლებში დაბადებული ჭაბუკები): სპორტკომპლექსის აღსაზრდელთა ნაკრები გუნდი (მწვრთნელი იოსებ მამულაშვილი) შეჯიბრებაში დიდი წარმატებით გამოვიდა, არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში საერთო შედეგების დაჯამების შედეგად, იგი პირველი იყო.

ცალკეულ მონაწილეთაგან ჩემპიონები გახდნენ: ბაქარ ერაშვილი (81 კგ) და ირაკლი დემეტრაშვილი (მძიმე წონა); მე-2 ადგილზე გავიდნენ: ლევან მამულაშვილი (46) და ვალერი მღებრიშვილი (55), ხოლო მე-3 ადგილი დაიკავა ნუგზარ გელხაურმა (55).

თავისუფალი ჭიდაობა: 3-5 მაისი, ქ. გორი – გიორგი ხინჩეგაშვილის (ახალგაზრდებში მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონის) ხსოვნის მემორიალური საერთაშორისო მე-4 ტურნირი (2005-06 წლებში დაბადებული ჭაბუკები): მოპოვებულია 2 მე-3 საპრიზო ადგილი, ბრინჯაოს მედალოსნები გახდნენ ომარ შაველაშვილი და ვასილ ბიტარიშვილი (შესაბამისად, 52 და 75 კგ) – მწვრთნელი თემურ გაბოძე.

კალათბურთი: 5 მაისი, ქ. თბილისი – საქართველოს პირველობის გათამაშება "ბ" ლიგაში (14-წლამდელი გოგონების გუნდებს შორის): მე-2 ტურის თამაშში "კასპმა" დიდი ანგარიშით დაამარცხა "ხაშური" (64:12), მწვრთნელები ლალი ხარაიშვილი და დიანა ბაშარული.

ჭიდაობა ძიუდო: 8-9 მაისი, ქ. თბილისი, საქართველოს 2019 წლის ჩემპიონატი ვეტერან მოჭიდავეთა შორის, მასში მონაწილეობდა კასპელი რამდენიმე მწვრთნელი. ჩვენებურ მედალოსანთა ვინაობა ასეთია (ასაკობრივი და წონითი კატეგორიების მიხედვით):

მე-2 ადგილები: ბერდია ნატროშვილი (50 წელი, 81 კგ) და გიორგი ბეინაშვილი (75, აბსოლუტური);

მე-3 ადგილები: შმაგი დვალიშვილი (62, 60 კგ) და ნუგზარ მამულაშვილი (62, 90 კგ).

კალათბურთი: 9 და 11 მაისი, ქ. თბილისი, საქართველოს პირველობის გათამაშება ("ბ" ლიგა, 16-წლამდელები) – სპორტკომპლექსის ჭაბუკთა გუნდმა "კასპმა" მე-4 ტურის მატჩში გაიმარჯვა საქართველოს გოგონათა ასაკობრივ ნაკრებთან (საინტერესოა, რომ ეს გუნდი შეჯიბრებაში მონაწილეობს ოფიციალურად), ხოლო მე-5 ტურის თამაში გამართა თბილისის "ვინგზი-2"-ის თანატოლებთან და მეტად პრინციპულ შეხვედრაში დამარცხდა (ახლა დავით ჯინიყაშვილის შეგირდებს 5 თამაშიდან 2 გამარჯვება აქვთ).

11-12 მაისი, ქ. ბოლნისი, ცნობილი მოჭიდავის დავით ნავერიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალური, ტრადიციული, მე-5 ტურნირი (ჭაბუკები) – წარმატებით იასპარეზეს ჩვენმა წარგზავნილებმა.

შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავა და ჩემპიონი გახდა ვასილ მერებაშვილი (46 კგ), მე-2 ადგილზე გავიდა სოსო გეჯაძე (46 კგ), ხოლო მე-3 ადგილებზე: ალეკო ხიზამბარელი (30), ვალერი მერებაშვილი (55) და საბა მარტიაშვილი (60 კგ).

გუნდი მოამზადეს მწვრთნელებმა ნუგზარ და იოსებ მამულაშვილებმა.

ჭიდაობა სამბო: 17-19 მაისი, ქ. ხიხონი (ესპანეთი) – ევროპული პირველობის აპენინურ სარბიელზე საქართველოს ნაკრებმა, ფაქტიურად, მეორე შემადგენლობით იასპარეზა, რადგანაც უძლიერესთა გუნდი უკვე ივნისში გაემგზავრება ბელარუსის დედაქალაქში ევროპულ ოლიმპიურ

თამაშებში მონაწილეობისათვის. ამჯერზე ესპანეთში ორმა კასპელმა მოჭიდავემაც მიიღო გამოსვლის შანსი – საშუალოწონოსანმა კახა მამულაშვილმა და მძიმეწონოსანმა ბექა ბერძენიშვილმა (ორივეს პირადი მწვრთნელია იოსებ მამულაშვილი).

წარმატებული ეთქმის ბექა ბერძენიშვილის წინაოლიმპიურ გამოცდას: მან მხოლოდ ფინალური ორთაბრძოლა დათმო და ევროპის კონტინენტის ვიცე-ჩემპიონის ტიტულითა და ვერცხლის მედლით დაგვიბრუნდა აპენინის ნახევარკუნძულიდან. იქ სამივე სინჯის მედლები მოინადავლეს სხვა ქართველებმაც. აი, ბექა მათგან ერთადერთია, ვინც მომდევნო თვეში მინსკშიც უნდა დაიცვას საქართველოს სამბოს ნაკრების ლიდერის სახელი. თუ გავიხსენებთ, რომ ყველაზე პრესტიჟული წონის ჩვენებურ მოჭიდავეს მინსკური სარბიელი კარგად აქვს დაცდილი – ბოლო წლებში იქაური საერთაშორისო ტურნირების მუდმივი პრიზიორია, წლევანდელ თებერვალში კი მოიგო კიდეც – უნდა ვიფიქროთ, რომ ივნისის ცხელი ევროპული ოლიმპიადიდან კვლავაც ჩემპიონად დაგვიბრუნდება!.

ერთიც: ქართულ ჭიდაობაში საქართველოს მოქმედ, ანუ 2018 წლის აბსოლუტურ ფალავანს, სხვა შედეგი არ უნდა აკმაყოფილებდეს...

მკლავჭიდი: 19 მაისი, ქ. კასპი – სპორტკომპლექსის (დირექტორი გიორგი ნიპარიშვილი, მენეჯერი ჯუმბერ სიდამონიძე) საკალათბურთო დარბაზში გამართულ რაიონულ ღია პირველობაში მათ იასპარეზეს, ვისაც მკლავში ძალა ერჩოდა და, ამასთან, ასაკით 15 წელს აღემატებოდა.

გაგაცნობთ გამარჯვებულთა ვინაობას (წონითი კატეგორიების მიხედვით): 60 კგ – ლაშა თინიკაშვილი, 70 – გაბრიელ წიკლაური, 75 – თენგიზ ობგაიძე და 80 კგ – გიორგი ხუციშვილი. ყველას გადაეცა თასები და დიპლომები.

ცაციების ჭიდილში აბსოლუტური გათამაშების გამარჯვებულის სახელი დაისაკუთრა ბეთქილ ქალდანმა, ხოლო მემარჯვენეებში უძლიერესი იყო შავლეგ მაჭარაშვილი (ამ უკანასკნელს ფულადი ჯილდოც გადაეცა).

ჭიდაობა ძიუდო: 18-19 მაისი, ქ. ბიელსკო-ბიალა (პოლონეთი) – ჭაბუკ მოჭიდავეთა საერთაშორისო ტურნირში მონაწილე საქართველოს ნაკრები გუნდის შემადგენლობაში შედიოდნენ კასპელი სპორტსმენები: ირაკლი დემეტრაშვილი, გიგა ტატიაშვილი და ვალერი მღებრიშვილი. საინტერესოა, რომ მძიმეწონოსანთა ნახევარფინალში გასასვლელად ერთმანეთთან პაექრობა მოუხდათ ირაკლისა და გიგას. გაიმარჯვა მეორემ, რომელმაც, შემდგომ, საფინალო ორთაბრძოლა დათმო და, საბოლოოდ, ტურნირის ვიცე-ჩემპიონობას დასჯერდა. თავის მხრივ ირაკლიმაც იყოჩაღა მესამე ადგილისათვის ჭიდილში და უმედლოდ არც ის დარჩა (ორიოდე თვის წინ, მარტის დასაწყისში, ეს ჭაბუკები წარმატებით გამოვიდნენ თურქული ანტალიის ტურნირშიც. ამდენად, ასეთი სტაბილურობა გვაფიქრებინებს, რომ ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებში საიმედო შევსება მოდის მათი სახით).

ქართული ჭიდაობა: 20 მაისი, სოფელი შილდა (ყვარლის რაიონი) – კახეთის ისტორიულ სოფელში აღინიშნა "მაისობის დღესასწაული", რომელიც ჩოხოსანთა ნახერხიან წრეში პაექრობამ დაამშვენა. ჩვენი რაიონის წარგზავნილი, 21 წლის ჯაბა პაპინაშვილი, წარმატებული იყო თავის წონით კატეგორიაში (60 კგ). სულ ახლახან, მაისის დასაწყისში, ქ. ბაქოს "გრან პრის" გათამაშებაში მან სარეიტინგო ქულები დაიმატა და პოზიცია გაიმყარა მსოფლიო ახალგაზრდა ძიუდოისტთა რეიტინგში.

კასპის სპორტკომპლექსი.

მეგიძლიათ, მიგვაწოდოთ თქვენი შვილების, შვილიმშვილების ორიგინალური ფოტოები, ნახატები, აზრები. ისინი გამოქვეყნდება ჩვენს გაზეთში.

გინდათ, გაეცნოთ საინტერესო, საქმიან და მნიშვნელოვან ცვლილებებს ქვეყნისა და მუნიციპალიტეტის ცხოვრებაში?
გამოიწერეთ ,,ახალი განთიადი,, გახდით ჩვენი მკითხველი!

“შიდა ქართლის თასი 2019”

საქართველოს ღია საკლუბო ჩემპიონატი კასპში

საქართველოს სამეჯლისო და სპორტული ცეკვების ასოციაციის ინიციატივით კასპში უკვე მეორედ ჩატარდა ღია საკლუბო ჩემპიონატი ეგიდით “შიდა ქართლის თასი – 2019”, რომლის მხარდამჭერები იყვნენ კასპის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო, მაჟორიტარი დეპუტატის საპარლამენტო ბიურო, აგრეთვე, კასპის მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახური, ღონისძიების საინფორმაციო მხარდამჭერი გახლდათ გაზეთი “ახალი განთიადი”...

კულტურულ-სპორტული სანახაობა ჩვენს ქალაქში დილაადრიან დაიწყო 5 მაისს და მიუხედავად იმისა, რომ კვირა დღე იყო, საკმაოდ ბევრი მაყურებელი მოვიდა კასპის სპორტკომპლექსის დარბაზში. შთამბეჭდავი და ამაღელვებელი გახლდათ ამ ლამაზი აღლუმის საზეიმო გახსნა, შესრულდა საქართველოს ჰიმნი, რომელსაც საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოწვეული მოცეკვავეები, ინდივიდუალური შემსრულებლები და მაყურებლები საზეიმო შეძახილებითა და აპლოდისმენტებით შეხვდნენ.

აღნიშნულ კულტურულ-სპორტულ ჩემპიონატს აფასებდა საქართველოს სამეჯლისო სპორტული ცეკვების ასოციაციის პროფესიონალ მსაჯთა კოლეგია /სულ 25 მსაჯი, 5 დამოუკიდებელი/, რომელმაც გამოავლინა გამარჯვებულები სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში, რაღა თქმა უნდა, ინდივიდუალურ და სპორტკლუბების შემსრულებლებს შორის და ცხადია, საპრიზო ადგილებზე გასულ მოცეკვავეებს, შემსრულებლებს, ინდივიდუალურ წყვილებს გადაეცათ შესაბამისი მედლები და დიპლომები, თასები.

– ჩვენმა ქალაქმა უკვე მეორედ უმასპინძლა ასეთ მასშტაბურ ღონისძიებას და დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ყველაფერმა ორგანიზებულად, მაღალ დონეზე ჩაიარა, – აცხადებს საქართველოს სამეჯლისო-სპორტული ცეკვების მცხეთა-მთიანეთისა და შიდა ქართლის კურატორი, ამ ჩემპიონატის პრეზიდიუმის წევრი, ეროვნული კატეგორიის მსაჯი, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის გაერთიანების სპეციალისტი გიორგი მჭედლიშვილი, – სულ ამ სპორტულ მარათონში მონაწილეობდა სხვადასხვა ასაკობრივი კატეგორიის სამასზე მეტი მოცეკვავე და ინდივიდუალური შემსრულებელი. ერთი სიტყვით, აღნიშნული ღონისძიების უმთავრესი მიზანი – ქართული კულტურისა და სპორტის პოპულარიზაცია, მოზარდების მოტივაციისა და ცნობიერების ამაღლება, დახვეწა, სულ უფრო ხელშესახები და ნათელია.

“შიდა ქართლის თასი – 2019” მფლობელები გახდნენ: მოცეკვავე წყვილი /ვახტანგ ბაღათურია და სალომე მახარაშვილი/ და სპორტულ-სამეჯლისო ცეკვების სტუდია “წეროები”... ტურნირზე ძალიან შთამბეჭდავად გამოვიდა სამეჯლისო ცეკვების სტუდია “მზის სხივი”, /ხელმძღვანელი გიორგი მჭედლიშვილი/, მართალია, იგი ჯერ მხოლოდ ორი წელია, რაც ფუნქციონირებს კასპში, მაგრამ

აქაური მოზარდებისა და ახალგაზრდებისათვის იგი საიმედო კულტურულ კერად იქცა. სხვათა შორის, აღნიშნულ საკლუბო ჩემპიონატზე სწორედ “მზის სხივი” გახლდათ ერთ-ერთი “მასპინძელი” და ბუნებრივია, რომ სტუდიის მოცეკვავეები ყოველნაირად ცდილობდნენ მაქსიმალურად წარმოეჩინათ საკუთარი შესაძლებლობანი.

ღონისძიებას სტუმრობდნენ და მისასალმებელი სიტყვით მიმართეს მოცეკვავეებსა და შემსრულებლებს საქართველოს სამეჯლისო სპორტული ცეკვების ასოციაციის პრეზიდენტმა ალბერტ ისახანოვმა და კასპის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის სამსახურის უფროსმა თეა ხორბალაძემ... დაბოლოს, საქართველოს სამეჯლისო სპორტული ცეკვების “შიდა ქართლის თასი – 2019”- ის ღია საკლუბო ჩემპიონატის ორგანიზატორები და მოცეკვავეები მადლობას უხდიან გაწეული დახმარებისა და გულისხმიერებისათვის კასპის მუნიციპალიტეტის მერს მანუჩარ მერებაშვილს და მის მოადგილეს თამაზ ტატანაშვილს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს დავით ლეონიძეს, მაჟორიტარ დეპუტატს ირაკლი მეზურნიშვილს, მერიის კულტურის სამსახურების ხელმძღვანელებს თეა ხორბალაძეს და მიხეილ ქოსაშვილს, აგრეთვე, კასპის სპორტკომპლექსის დირექტორს გიორგი ნიპარიშვილს.

კასპის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანება.

გაზაფხული შემოსულა

ფანტაზიისა და ფერთა ჰარმონია

გიორგი ხორგუაშვილის სახელობის კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის საგამოფენო დარბაზში ორ კვირაზე მეტ ხანს გაგრძელდა საგაზაფხულო გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო კასპელ შემოქმედ ქალთა ნამუშევრები... ღონისძიების ორგანიზატორები: მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება და კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, საინფორმაციო მხარდამჭერი გაზეთი “ახალი განთიადი”.

საგამოფენო დარბაზში მოსულ დამთვალიერებლებსა და მოწვეულ სტუმრებს მიესალმა კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი გიორგი ჩადუნელი. მან თავის რამდენიმეწუთიან გამოსვლაში გულითადად მიულოცა შემოქმედ ქალბატონებს გამოფენაში მონაწილეობა და შემდგომი წარმატებები უსურვა.

დამთვალიერებლები, სტუმრები თვალს ვერ აცილებდნენ ნაირ-ნაირ ზღაპრულ თოჯინებსა და ფერწერულ ტილოებს, ქაღალდისაგან დამზადებულ საინტერესო, თვალისმომჭრელ აქსესუარებს, სხვადასხვა დანიშნულების ხელნაკეთ ნივთებსა და თექის მიმზიდველ ნაწარმს, გემოვნებით შესრულებულ სამკაულებსა და სათამაშოებს. ერთი სიტყვით, რას აღარ ნახავდით აქ, ყვავილებსა თუ საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთებს, ნაქსოვებს... და, ამ ულამაზესი, თვალისმომჭრელი აქსესუარების “ავტორები” გახლავთ ჩვენს რაიონში კარგად ცნობილი ქალბატონები, ესენი არიან: ეზატის საბავშვო ბაღის მასწავლებელი მანანა იაშვილი, კასპის ნომერ მესამე ბაღის გამგე თეა ქუტაშვილი, ამავე ბაღის მასწავლებელი მარეხ აფციაური, ქვემო ჭალის საბავშვო ბაღის გამგე ნათია მჭედელაძე, კავთისხევის ომარ კელაპტრიშვილის სახლ-მუზეუმის წარმომადგენელი მანანა კელეპტრიშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანების სპეციალისტები ნათია ზერეკიძე და რუსუდან ბარნოვი, კასპის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მასწავლებელი ნინო ქენქაძე.

– ყოველწლიური, ტრადიციული საგაზაფხულო გამოფენა ამჯერადაც რეზონანსული აღმოჩნდა, – განმარტავს კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეცნიერ-მუშაკი და ამ გამოფენის ერთ-ერთი ორგანიზატორი მაია გაბოძე, – თქვენ წარმოიდგინეთ, მაისის ბოლო რიცხვებამდე სტუმრობდნენ მუზეუმს და სხვათა შორის, დამთვალიერებელთა შორის სჭარბობდნენ მოსწავლეები და ახალგაზრდები, ხელოვნების მოყვარულები.

საგაზაფხულო გამოფენის გახსნას ესწრებოდა კასპის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე, რომელმაც საინტერესოდ ისაუბრა ამ გამოფენის მნიშვნელობაზე და დადებითად შეაფასა ქალთა შემოქმედება, შემდგომი წარმატებები უსურვა მათ.

გამოფენაზე წარმოდგენილ ნამუშევრებზე აზრი გამოთქვეს: მხატვარმა იორამ იმედაშვილმა, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის კონსულტანტმა ლიანა ბალხამიშვილმა, ბიბლიოთეკების გაერთიანების დირექტორმა ეთერ ჩადუნელმა, სპეციალისტმა ლია მენაბდიშვილმა, მუზეუმების გაერთიანების სპეციალისტმა დალი კოტიაშვილმა, პედაგოგებმა მანანა ყაბანაშვილმა და თამარ გაბოძემ.

წლევანდელი საგაზაფხულო გამოფენა მართლაც რომ საინტერესო, მრავალფეროვანი და შინაარსიანი იყო და ამდენად, იგი ერთგვარი წინაპირობა გახლდათ იმისათვის, რომ სამომავლოდ იგი უფრო წარმომადგენლობითი და მასშტაბური იქნება...

კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება.

საჩუქრად ახალი ფორმები და ბურთები

მიმდინარე წლის სპორტული სეზონი კასპის საფეხბურთო სკოლის /მენეჯერი ავთანდილ ჯალალი/ აღსაზრდელთა აქტიურობით გამოირჩევა. ახალგაზრდა სპორტსმენები /ფეხბურთელთა სხვადასხვა ასაკობრივი გუნდი/ წარმატებულად მონაწილეობდნენ საქართველოს და შიდა ქართლის რეგიონალურ პირველობებზე და როგორც საერთოდ ბადებულ ფეხბურთელთა ნაკრებმა წარმატებულად იასპარეზა რესპუბლიკურ ტურნირში, რომელიც მიეძღვნა ტრაგიკულად დაღუპული თბილისელი 12 წლის ივიკო ჭელიძის ხსოვნას, სადაც გათამაშდა მისი სახელობის თასი, ხოლო რაც შეეხება შიდა ქართლის რეგიონალურ პირველობაზე მონაწილეობას, აქაც ფეხბურთელთა სამი ასაკობრივი

ხდება ხოლმე, ახალბედა ფეხბურთელებს ჰქონდათ როგორც წარმატებული შეხვედრები, ასევე, ჩავარდნებიც... მაგალითად, ფეხბურთელთა ცნობილი გუნდი "გენერალი", თავიდან წარმატებით ასპარეზობდა, თუმცა, ფინალში გადასასვლელი მატჩი წააგო და რა თქმა უნდა, გუნდი გამოეთიშა ტურნირს, მაგრამ ფეხბურთელებს წუთითაც არ დაუკარგავთ გამარჯვების იმედი...

აღსანიშნავია ისიც, რომ 2006 და 2008 წლებში დაგუნდი მონაწილეობდა, ერთი სიტყვით, სულ სეზონის განმავლობაში ჩატარდა 37 მატჩი.

— ჯერ კიდევ შარშან, წლის ბოლოს კასპის საფეხბურთო სკოლამ საქართველოს ფეხბურთის განვითარების ფონდიდან გრანტის სახით 14 ათას 990 ლარი მიიღო, აცხადებს კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორი შოთა გოგიაშვილი, — ეს იყო ჩვენთვის უდიდესი მხარდაჭერა, რადგან კასპის საფეხბურთო სკოლამ 140 ბავშვისთვის შეიძინა 100 ცალი ფეხბურთის ბურთი, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მათთვის უკვე შევიძინეთ ახალთახალი სათამაშო და სავარჯიშო ფორმები, აგრეთვე, საჭირო და აუცილებელი ინვენტარიც.

ნორჩი ფეხბურთელების სიხარულს საზღვარი არა აქვს,კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანება და საფეხბუთო სკოლა, მწვრთნელთა მთელი შემადგენლობა, ბავშვების მშობლები მადლობას უხდიან ფეხბურთის განვითარების ფონდს გაწეული დახმარებისა და ზრუნვისათვის.

კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანება.

ფურცლები მხატვრის ბიოგრაფიიდან

ალექსანდრე ქესაურს წელს, 20 მაისს 82 წელი შეუსრულდებოდა, სამწუხაროდ ვეღარ მოესწრო...

აქაურები მას შესანიშნავად იცნობენ და ყოველთვის კეთილად იხსენებენ, იგი კასპში დაიბადა, დაამთავრა კასპის მეორე საშუალო სკოლა. შემდეგ სწავლობდა ცხინვალის სამხატვრო სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა ლენინგრადის სამხატვრო აკადემიაში, თუმცა, მეორე კურსიდანვე დაემშვიდობა ლენინგრადის / იქაური ჰავა ვერ აიტანა/ სამხატვრო აკადემიას, საქართველოში დაბრუნდა და თბილისის სამხატვრო აკადემიაში, დიმიტრი თაყაიშვილის სახელოსნოში კინოსა და თეატრის ფაკულტეტზე გააგრძელა სწავლა.

ალექსანდრე ქესაური ერთხანს კინოსტუდიის მხატვარიც იყო და თავისებური ხელწერით, ნიჭიერებით ბევრის ყურადღება მიიპყრო, სწორედ აქ, ბატონმა ალექსანდრემ იმუშავა საქვეყნოდ გახმაურებულ ფილმებზე "ციმბირელი პაპა" და "ზოია რუხაძე"...

გამოხდა მცირე ხანი და იგი ისევ /ოჯახური პირობების გამო/ მშობლიურ კასპს დაუბრუნდა. აქ მან დააარსა სამხატვრო სკოლა, რომელსაც წლების განმავლობაში წარმატებით უძღვებოდა, რა თქმა უნდა, შემოქმედებითი მუშაობა არასოდეს მიუტოვებია, მეტიც, ნაყოფიერად მუშაობდა, მაგრამ, რატომღაც მას არ სჩვეოდა თავის გამოჩენა, ყოველთვის უარს აცხადებდა საკუთარი ნახატების გამოფენაზე. სხვათა შორის, ბატონი ალექსანდრე ქესაური სპორტის დიდი თაყვანისმცემელი გახლდათ და ამავე დროს, ძალიან კარგად თამაშობდა კალათბურთს, ამ საქმეში მას ბევრი მიმდევარიც ჰყავდა...

ხელოვნების შესანიშნავი მცოდნე და საუკეთესო შემფასებელი ალექსანდრე ქესაური აქაურებს ძალიან დიდ პატივს სცემდა, ჰოდა, სწორედ მათი რჩევითა და უახლოესი მეგობრების დაჟინებული თხოვნით მან დაბადებიდან 70 წლისთავთან დაკავშირებით კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სამხატვრო გალერეაში თავისი ნახატების გამოფენა მოაწყო, რომელმაც ჩვენი საზოგადოების ინტერესი და მოწონება დაიმსახურა. სწორედ ამ გამოფენიდან ბატონმა ალექსანდრემ კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს საჩუქრად გადასცა რამდენიმე საუკეთესო ფერწერული ნამუშევარი...

ეს არ გახლავთ ერთადერთი შემთხვევა, მხატვარი თავის საუკეთესო ფერწერულ ტილოებს უანგაროდ და დიდი სიამოვნებით სჩუქნიდა ახლობლებსა და მეგობრებს.

შემოქმედი მამის კვალს გაჰყვა მისი ვაჟიც, უმცროსი ალექსანდრე /საშა/ ქესაური, რომელიც ამჟამად მოღვაწეობს პოლონეთში, მართავს გამოფენებს, მას იცნობენ როგორც საუკეთესო კოლექციონერს.

იორამ იმედაშვილი,
მხატვარი.

ოკუპაციის მუზეუმში

სასწავლო წლის ბოლოს და მანამდეც კასპის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის /მენეჯერი ლელა პეტრიაშვილი/ მხარეთმცოდნეობის წრის მოსწავლეები დიდი ენთუზიაზმით ეკიდებიან გასვლითი ღონისძიებების მოწყობას... გარდა ამისა, სასწავლო პროგრამის მიხედვით წრის მოსწავლეებმა შეისწავლეს ისეთი საკითხებიც, რომლებიც ეხებოდა ჩვენი ერის ისტორიის უმძიმეს პერიოდს, კერძოდ კი, 1927-37-იანი წლების რეპრესიებს, რომელმაც უამრავი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და ამ სასტიკი რეჟიმის მსხვერპლნი იყვნენ როგორც საერო, ასევე სასულიერო წრის წარმომადგენლები: ძმები კარბელაშვილები, ეფრემ მეორე, პანტელეიმონ გედევანიშვილი, გიორგი მაზნიაშვილი, გიორგი შატბერაშვილი, დავით ნავროზაშვილი...

— მომავალ თაობას აუცილებლად უნდა ახსოვდეს მამული

დასასრული გვ-10.

მოულოდნელად მომიწია გულის ოპერაციის გაკეთება. ეს არ გახლავთ სასურველი რეალობა, მაგრამ ურთულესი სინამდვილე შემომსუბუქეს კარდიოქირურგიის კლინიკა ,,ღია გულის,, სამედიცინო პერსონალმა, მკურნალმა კარდიოლოგებმა: ლალი გუჯეჯიანმა და ვიქტორ გეტმანსკიმ; მეხუთე კლინიკური საავადმყოფოს ნევროლოგიური სამსახურის უფროსმა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა ეთერ ხითარიშვილმა.

განსაკუთრებული მადლობა კარდიოქირურგიის კლინიკა ,,ღია გულის,, მოზრდილთა კარდიოქირურგიული განყოფილების ხელმძღვანელს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს კახაბერ ლაცუზბაიას ნარმატებით ჩატარებული ოპერაციისათვის.

მადლობა თქვენი მზრუნველობისა და სითბოსათვის. ვიცი სიკეთის სანთელსაკმეველი აუცილებლად გაანათებს თქვენს მომავალს.

გულქან ბარნოვი.

უსაყვარლეს ქალბატონს, მრავალი თაობის მასწავლებელსა და აღმზრდელს, ძველი და ახალი სკოლის ტრადიციების ჩინებულ მატარებელს და უბრალოდ ერთგულ მეგობარს ნანი ღვინიაშვილს გულითადად ვუოცავთ დაბადების დღეს!



სულ გვახსოვხართ, გვიყვარხართ და ნლებია გულში გესაუბრებით.

ყოფილი მოსწავლეები: ნანა მერებაშვილი, თეო კოტიაშვილი, თამრიკო ნაცვლიშვილი, მანანა ნიპარიშვილი, მარინა მარქარაშვილი მარგო ყაზარაშვილი, მზია ბუთხუზი, ვალია დრიაევი.

განათლებული მომავლის იმედად

ჩემს თაობას ზედმიწევნით კარგად ახსოვს პრივატიზაციის შუქ-ჩრდილები, ამ საქმეში ჩართული ადამიანების აგრესიულად მორჩილი სახეები. იმ დროს ლაიტმოტივად გასდევდა ქართულ კინოკლასიკად ქცეული ფილმიდან სიმღერა - "ჩუმად-ჩუმად არვინ გაგვიგოს!" ქვეყნის დამოუკიდებლობის გზის დასაწყისში სარფიანი

პრივატიზება იყო ფიქრთა სათავეში. დღესაც კარგად გვახსოვს 1 ლარად გაყიდული სასწავლო კორპუსები, აგარაკები ...

ასეთ დროს, კერძოდ, 1994 წელს კასპში დაფუძნდა სკოლა-გიმნაზია. "რა დროს რომანსეროაო?" – ფიქრობდნენ მედროვეები. ბესიკ ნიპარიშვილმა იმხანად პირველი სკოლის მათემატიკის მასწავლებელმა ახალი სასწავლებელი დააარსა. – "ჩემ სკოლას ძლიერი დირექტორი ჰყავდა. დისციპლინა თავის ადგილზე იყო, სწავლის პროცესიც ჩვეული რიტმით მიდიოდა, მაგრამ უინტერესობა ბევრ პრობლემას ქმნიდა. ახალი დროის ახალი სწავლების აუცილებლობას ვგრძნობდი, მოგებაზე არ მიფიქრია".

წლები გიმნაზია სპორტკომპლექსის ძველ შენობაში ფუნქციონირებდა, ახლა კეთილმოწყობილ შენობაშია განთავსებული, სპორტული მოედანიც კი აქვს. შენობა ამ ეტაპზე გარედან გასალესია, მაგრამ ამ საკითხის მოგვარებაც ახლო მომავლის საქმეა.

ნებისმიერი სასწავლო დაწესებულების გამართულობა, რა თქმა უნდა, აღსაზრდელთა მიღწევებით აისახება. ამ დროისთვის სკოლა-გიმნაზიამ 11 მედალოსანი აღზარდა. იყო დაუვიწყარი გამოშვებებიც: 1997, 1999, 2005, 2010, 2013 სასწავლო წლები.

სწორედ 2013 წელს 5 მოსწავლემ ამერიკის დეპარტამენტის დაფინანსებით ერთი წელი ისწავლა ამერიკაში.

ომარ ლომიაშვილმა დაამთავრა ამერიკის უნივერსიტეტი ბიზნესის ხარისხით და ახლა ბუქარესტში მუშაობს. სამშობლოში ყოველი ჩამოსვლისას აუცილებლად სტუმრობს მშობლიურ სკოლა-გიმნაზიას.

შპს "ბესიკ ნიპარიშვილი" მრავალპროფილიანი სკოლა-გიმნაზია წელს სექტემბერში 25 წლის ხდება. ამ ღირსშესანიშნავი თარიღის გამო ჩვენ ისევ დავუბრუნდებით თვალწინ შექმნილი სასწავლებლის ისტორიას, ამჯერად კი მის დამფუძნებელზე გვინდა მოგახსენოთ.

27 მაისს ბესიკ ნიპარიშვილი 65 წლის გახდა. იოლი სათქმელია სკოლა დააფუძნა, თაობები აღზარდა, როგორი დროში გავრცობილი მუხლმოუხრელი შრომა დგას ყოველივეს მიღმა; მაგრამ მისი მოქალაქეობრივი პოზიცია გამორჩეულად დაფიქრების საბაბია - პრივატიზაციით საშოვარს გადაგებულ საქართველოში მან შექმნა განათლების კერა, თითქოს ჩაუქრობელი სანთელი დაანთო. თუ საქმე მომგებიანი გამოდგა ეს მისი "ბრალი" არ არის, ეს კარგად წარმართული მუშაობის შედეგია. 25 წლის განმავლობაში არ ყოფილა ქვეყნის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა, რომლის მიღმაც დარჩენილიყოს გიმნაზიის დირექტორი. ხმამაღლა ამბობდა სათქმელს. იგი შედგა როგორც სპეციალისტი. მასზე აღარ ამბობენ მკაცრი მასწავლებელიაო - "მომთხოვნია ბესო მასწავლებელი, ოღონდ ყველაზე მეტს თავის თავს სთხოვსო" – ამბობენ აღზრდილები, "კოლეგიალური ხელმძღვანელიაო" – ერთხმად აღიარებენ პედაგოგები.

ბესიკი მასწავლებელო, როგორი ჯადოსნური კალამიც არ უნდა მქონდეს, სათქმელს ვერ დავტევ ერთ წერილში. თანაც თქვენი დაბადების დღის აღსანიშნავად სწორი ალბათ საღღესასწაულო სურვილების დაფიქსირებაა. თქვენს აღზრდილებთან და კოლეგებთან ერთად გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ჩვეული ენერგიით, მონდომებით და მომთხოვნელობით გააგრძელოთ ჩვენი სამშობლოს მომავლის აღზრდა. კარგად მოგეხსენებათ, დამოუკიდებლობის გზას შემდგარი საქართველო მხოლოდ განათლებული მომავლის იმედადაა.

ნ. მერებაშვილი.

ცოცხალი მაგალითი გვიდასმოიბია

დასასრული.

სწორედ ასეთ მეთოდს მიმართავენ ხშირად.

სულ ალახან კი, უფრო ზუსტად აღდგომის დადგომამდე რამდენიმე ხნით ადრე ბაღის კოლექტივმა მშობლებთან ერთად საქველმოქმედო პროექტის განხორციელება დაგეგმეს... საამისოდ კი, აღმზრდელ-მასწავლებლებმა ნელი გორგაძემ, მაია აბეწვაშვილმა, ლედი ჩარაშვილმა, მუსიკის მასწავლებელმა ნატო ტურაშვილმა, რა თქმა უნდა, თადარიგი ადრევე დაიჭირეს და ყველამ ერთად გადაწყვიტა, ბავშვები კასპის მოხუცებულთა სახლში წაეყვანათ სტუმრად, თან, რასაკვირველია, მათთვის სააღდგომო ნობათიც მიერთმიათ.

... უნდა გენახათ, რა სასიამოვნო, დასამახსოვრებელი და გულისამაჩუყებელი განწყობა სუფევდა იმ დღეს მოხუცებულთა სახლში, დილაადრიან ესტუმრნენ პატარები მოხუცებულთა სახლს, მთელ შენობაში ისმოდა ბავშვების ჟივილ-ხივილი, პატარებმა სახლის ბინადრებს რამდენიმეწუთიანი საინტერესო წარმოდგენა გაუმართეს, სიმღერითა და ცეკვა-თამაშით მოხიბლეს და გაახარეს მასპინძლები, ყველას სათითაოდ მიართვეს საგულდაგულოდ შერჩეული საალდგომო ტკბილეული, ათასნაირი ნუგბარი. გახარებულ, თვალცრემლიან მოხუცებს აღარ ეთმობოდათ ბავშვებთან განშორება, გულში იხუტებდნენ, მადლობას უხდიდნენ, ლოცავდნენ პატარებს.

ამ დღის აღსანიშნავად ბაღის ბავშვებმა და მათმა მშობლებმა, მასწავლებლებმა სამახსოვრო ფოტოც გადაიღეს.

კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება.

ოკუპაციის მუზეუმში

დასასრული. დასაწყისი იხ. გვ-9.

სათვის თავდადებულთა ისტორია. წარსულის ცოდნა აუცილებლად დაეხმარებათ სწორი და ღირსეული გადაწყვეტილებების მიღებაში, – აცხადებს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მხარეთმცოდნეობის წრის ხელმძღვანელი ნანა მერებაშვილი, – სწორედ ამ მიზანს ისახავდა სულ ახლახან მოსწავლეების სტუმრობა კასპის ოკუპაციის მუზეუმში.

მოკლედ, კასპის სკოლა-გიმნაზიაში არსებულ ოკუპაციის მუზეუმში, სადაც ხშირად იმართება საინტერესო, კულტურული თუ ინტელექტუალური შეხვედრები, ბავშვები პედაგოგთან ერთად მივიდნენ... ბავშვებს აქ მეგზურობა გაუწიეს სკოლა-გიმნაზიის სასწავლო ნაწილის გამგემ მაია ბერიანიძემ და სკოლის თანამშრომელმა თინათინ აბულაძემ. მათ საინტერესოდ და ამომწურავად უამბეს მოსწავლეებს რეპრესიებს შეწირულ ადამიანებზე, დაათვალიერებინეს მუზეუმში გამოფენილი ფოტო-დოკუმენტური მასალა, ერთი სიტყვით, ბავშვებმა ყველა დასმულ შეკითხვაზე მიიღეს ამომწურავი პასუხი, მათ კიდევ ერთხელ გაიხსენეს გიორგი მაზნიაშვილისა და სხვა გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება-მოღვაწეობის ეპიზოდები...

მხატვრული კითხვით გამოიჩინა თავი უჩა გოგოლაძემ, რომელმაც შთამბეჭდავად წაიკითხა ამონარიდი ვ. კანდელაკის პიესიდან "დრო 24 საათი", რომელიც ეხება გიორგი მაზნიაშვილის დახვრეტის განაჩენს... ისტორიისა და წარსულის ცოდნით გამოიჩინეს თავი მოსწავლეებმა: ქეთევან ჭალისურმა, ანზორ დალაქიშვილმა, ლუკა და მარიამ მერებაშვილებმა, ნინო ბერუაშვილმა, სალომე სამხარაძემ, თემურ ირემაშვილმა, ნანა ილურიძემ.

მოსწავლეებმა, მშობელმა თამარ ფანჩვიძემ გულითადი მადლობა გადაუხადეს მუზეუმის თანამშრომლებს საინტერესო შეხვედრისათვის.

კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება.

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება შ.პ.ს. კოლორ პრესში

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.
რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი: 2600 ქ. კასპი სააკაძის ქ. № 68
ტელეფონი 22-25-76